ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2023 წლის აგვისტოს (დღემდე) საქმიანობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მუშაობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საბიუჯეტო კოდექსით, აგრეთვე ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის თავმჯდომარე-პავლე კიკალიშვილი

კომისიის წევრები არიან

1.პაატა გოგოლაძე;

2.ოთარ ლურსმანაშვილი;

3.ეკა შველიძე;

4.ნონა ზურაბიანი;

5.ამირან ოქრომჭედლიძე;

6.ლენა აბაშიძე;

7.შმაგი ხიჯაკაძე;

8.თორნიკე ავალისვილი;

9.კობა გოგსაძე;

10.ომარი გაგოშიძე;

11. კონსტანტინე ბერაძე.

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 სხდომა როგორც რიგგარეშე, ასევე მორიგი სხდომები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციების და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახადებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრება 12 733 000 ათასი ლარით. 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 118 000 ათასი ლარით-11.4%-ით.

დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 8 468 000 ათასი ლარით. დღგ გაზრდილია 309 300 ლარით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 145 000 ლარს. ქონების გადასახადი იზრდება 1.2%-ით.

გრანტების სახით, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად , დაგეგმილი ტრანსფერი განისაზღვრება 240 000 ათასი ლარით. 15 ნოემბერთან წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით გაზდრილია 85 000 ათასი ლარით, აქედან 115 000 ათასი ლარი მოხმარდება სამხედრო აღრიცხვასა და გაწვევის სამსახურს, 124 000 ათასი ლარი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს, 1000 ლარი გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებს.

სხვა შემოსავლების სახით 2023 წელს იგეგმება 1 525 000 ათასი ლარი, აქედან შემოსავლები საკუთღებიდან განსაზღვრულია 165 000 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წელში პირველად დაიგეგმა პროცენტებიდან შემოსავალი 50 000 ათასი ლარით, მოსაკრებელი

ბუნებრივი რესურსებიდან 70 000 ათასი ლარი. მიწის იჯარიდან 45 000 ათასი ლარი.

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან 60 000 ათასი ლარია მათ შორის : სანებართვო მოსაკრებელი 5.000 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების 55.000 ათასი ლარი. შემოსავლები , საურავები, ჯარიმები და საურავები 1 300 000 ათასი ლარი. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 1 270 000 ათასი ლარი. ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის გამო 20 000 ათასი ლარი. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევისათვის 10 000 ლარი .

მუნიციპალიტეტის 2023 ბ იუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 379 300 ლართ და განისაზღვრა 14 180 000 ათასი ლარით. წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2 383 000 ათასი ლარით.

2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია თანამშრომელთა ხელფასების ზრდა 10%-ით.

2023 წელში წარმატები გრძელდებოდა მერის ინიციატივით წარდგენილი სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა. კვლავ განხორციელდება მოქალაქეების ჩართულობით შექმნილი და მოწონებული პროექტები.

2023 წელში პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი პროექტები.

- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება 1 130 000 ათასი ლარი.

მათ შორის

ა) წყლის სისტემა-1 130 000 ათასი ლარი;

ბ) გარე განათება- 250 000 ათასი ლარი;

გ)მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია-180 000ათასი ლარი;

დ) კეთილმოწყობა-60 000 ათასი ლარი; (დაბისა და სოფლის ცენტრის იერსახის გაუმჯობესება).

- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა 1 561 700 ათასი ლარი.

ა)დასუფთავება და ნარჩენების გატანა-1 324 500 ათასი ლარი;

ბ)მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (განვითარება-219 200 ათას ლარი;

გ)მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა- 18 000 ათასი ლარი;

- ✓ განათლება- 2 710 000 ათასი ლარი.

ა) სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება- 2 350 000 ათასი ლარი; გაზრდილია 592 000 ათასი ლარით.

ბ)სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია 15 000 ათასი ლარი; (საპროექტო სამუშაოები).

გ)ზოგადი განათლების ხელშეწყობა(ინტერნეტი) 115 000 ათასი ლარი.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში (მოსწავლეთა სახლი)-215 000 ათასი ლარი;

- ✓ კულტურა, აღმზრდელობა და სპორტი- 1 936 300 ლარი.

ა) სპორტის განვითარება-655 000 ათასი ლარი;

ბ) კულტურის სფეროს განვითარება-1 139 800 ლარი;

გ) ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“- 84 500 ათასი ლარი;

დ)რელიგიის დაფინანსება-40 000 ათასი ლარი;

ე)ახალგაზრდობის მხარდაჭრა-17 000 ათასი ლარი;

- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1 906 200 ათასი ლარი.

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 223 000 ათასი ლარი;

ბ)2023 წელს გათვალისწინებული სოციალური პროგრამები (სულ 21 პროგრამა)

მიუხედავად ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების დადებითად შეფასებისა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მხარი არ დაუჭირა ბიუჯეტში წარმოდგენილ მთელ რიგ პარამეტრებს. ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მიზნით კომისიის მიერ გამოთქმული იქნა შემდეგი შენიშვნები და მოსაზრებები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის დასკვას თან ერთვის შემცირებული გარანტიით და ათი შენიშვნით.

მერიამ სრულიად გაითვალისწინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შენიშვნები და თითქმის ყველა შენიშვნაზე მოახდინა რეაგირება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ცრა თვისა და მთელი წლის შესრულების მიმდინარეობა და თანმიმდევრულად დასკვნაში ჩამოაყალიბა შედეგები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ საანგარიშო პერიოდში 2023 წელში განიხილა 7 საბიუჯეტო ცვლილება , რაც გამოწვეული იყო მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქრურული და სოციალური პროგრამის მაღალი და ხარისხიან დონეზე განხსახორციელებლად. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა და განიხილა ,,შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“. განიხილა და განაზოგადა ჩამოთვლილი დარღვევები.

ანგარიში შეეხეო 23 მუნიციპალიტეტში შემოწმების სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობას აუდიტს.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ინფორმაციის გაცნობის მიზნით მერიის სარეზერვო ფონდის თანხების განკარგვაზე და აღმოჩნდა შემდეგი მდგომარეობა.

სულ მერიის სარეზერვო ფონდის თანხა წარმოადგენდა 80 000 ათას ლარს, აქედან გახარჯულია 64 265 ათასი ლარი.

ა) სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამა-4 750 ლარი;

ბ)ერთჯერადი ფინანსური დახმარება- 10 500 ლარი;

გ) სამჯურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა-12 618 ათასი ლარი;

დ) გზების კაპიტალური შეკეთება-2 790 ლარი;

ე) ხიდები-4 950 ლარი;

ვ) კანალიზაციის სისტემის განვითარება(სანიაღვრე არხებისა და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობა).

2023 წლის განვლილ ცხრა თვეში დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 12 733 000 ათასი ლარი. გაიზარდა, 8 975 600 ათასი ლარით და განისაზღრა 21 708 600 ათასი ლარით.

ფაქტობრივად მუნიციპალიტეტმა ცხრა თვეში მიიღო 14 990 200 ათასი ლარი. წლიური გეგმაა 69.1%.

2023 წლის გადასახადები გაიზარდა 8 907 700 ათასი ლარით და განისაზღვრა 14 180 000 ათასი ლარი. წლიური გეგმაა 69.6%.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების იზრდება 22 445 809 ათასი ლარიდან და განისაზღრა 23 936 462 ათასი ლარით.

ხოლო გადასახადები 2023 წლის 23 854 956 ათასი ლარი იზრდება 1 490 653 ათასი ლარით, კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 14 888 85 ათასი ლარით. მიზნობრივი ტარნსფერი 1768 ლარით და განისაზღვრა 25 345 609 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დოკულენტის გადმამუშავებელ ვარიანტზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შეფასებით ბიუჯეტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსალოდნელი შემოსავლები, ასევე კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პრიორიტეტებ ინფრასტრუქტურული, სოციალური, განათლებისა და კულტურის მიმართულებით. მიუხედავად ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებისა დადებითად შეფასებისა, საფინანსო- საბიუჯეტო კომისიამ გამოთქვა შენიშვნები ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მიზნით. კომისიის მიერ გამოთქმული იქნა შემდეგი შენიშვნები:

1. ნაგვის ბუნჯერის შესაძენად გაიზარდოს გამოკვეთილი ხარჯები, რადგან არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს .
2. მუნიციპალიტეტში მთავრდება ინვენტარიზაცია. შენობა-ნაგებობები, წისქვილები, და ა.შ ასევე ამორტიზაციის ყველა დასაშვები ზღვარი გავლილი აქვთ. მუნიციპალიტეტმა იქნებ რეზერვში იქონიოს და განსაზღვროს თანხა, დაახლეობით 30 000 ათასი ლარის ოდენობით , რათა მოხდეს ამ ობიექტების შეკეთება მაინც.
3. უკიდურესად გაჭირვეული ოჯახების სათბობი შეშიტ დახმარების პროგრამა ითვალისწინებს 10 000 ათასი ლარს გავზარდოთ ეს პროგრამა 20 000 ათას ლარამდე. გაძვირდა საწვავი, ტრანსპორტოს

მომსახურეობა, გზების შეყვანა ტყეკაფებში. აგრეთვე სხვადასხვა შენიშვნები და რეკომენდაციები იქნა გამოთქმული საკრებულოს წევრებისა და ფრაქციების მიერ, ასვე დაისვა საკითხი ,,ნაბიჯი ხარაგაული“ პროექტის ხელმძღვანელის რუსუდან გურგენიძის პროექტი ,,დედებო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილებისთის“ ინფორმაცია თან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს.

კომისიამ სხომაზე 2024 წელში განიხილა ოთხი საბიუჯეტო ცვლილება , რაც გამოწვეული იყო მტავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული და სოციალური პრიგრამის მაღალ და ხარისხიან დონეზე განსახორციელებლად. ოთხივე საბიუჯეტო ცვლილება ტან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს.

10.01.2024 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ:

1) მთავრობის 2023 წლის 28/12 N2402 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6 051 271 ათასი ლარი. 5 852 571 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისათვის. 198 700 ლარი სოფელ თეთრაწყაროში სპორტული მინი მოედნის მოსაწყობად.

2. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოეყო 890 000 ათასი ლარი.

3.წინა წელში აღებული ვალდებულებების დასაფარად 966 344 ათასი ლარი.

4.გზების რეაბილიტაცია-20 500 ათასი ლარი.

5. სანიაღვრე არხებისა და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობაზე 926 444 ათასი ლარი. საქართელოს მთავრობის განკარგულების 2023 წლის 20.01 N116 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული კინოთეატრის ნაპირის დამცავი კედლის მოსაწყობად.

6.,, სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“ 194 00 ლარი.

15.03.2024 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის საჯრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შტანის შესახებ.

ა) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 იანვრის N56 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეწყო საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 1 084 400 ათასი ლარი. 2024 წლის 29თებერვლის N2400 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების გადახურვა 410 000 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის საჯრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შტანის შესახებ.

N550 განკარგულებით ბიუჯეტი გაიზარდა 50 0000 ათასი ლარით.

N2400 განკარგულებით 2024 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 215 000 ათასი ლარით.

N615 განკარგულებით დარჩენილი ეკონომიით 416 854 ათასი ლარით გაიზარდა ხარაგაულის ბიუჯეტის გადასახადები.

უცხოური არასამეწარმეო იურიდულინ პირის ,,გოეთეს ინსტიტუტის ფილიალისგან საქართველოში“ ხარაგაულის მერიამ მიიღო 5000 ევრო გრანტის სახით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის საჯრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შტანის შესახებ.

1. გადაჭარბებით შესრულდა ქოენის გადასახადის გეგმა დაგეგმილი 1 900 000 ათასი ლარი. ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაიზარდა გადასახადების წლიური გეგმა 2 500 000 ათასი ლარით, რომელიც საჭიროა ახალი ვალდებულებების ასაღებად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 26 006 293 იზრდება კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრა 27 056 293 ათასი ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახადები 28 885 296 ათასი ლარი იზრდება და განისაზღვრება 29 935 296 ათასი ლარით.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024 წლისათვის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8.4%. ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაციიის მუხლით განსაზღვრული ასიგნების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის მე-2 პუნქტიოს მოთხოვნებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიღებული პარამეტრის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრობლემა დღიეს მდგომარეობით გამოსწორებულია. არაფინანსური აქტივების კლება 200 000 ათასი ლარი ეს გეგმა მიღწევადია.

სულ შემოსულობები შეადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წელში 13 373 700 ათასი ლარი.

(სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გარეშე). 2024 წლის შემოსულობები 640 000 ატასი ლარით აღემატება 2023 წლის ბიუჯეტს. დაზუსტებული ბიუჯეტი 21.300 ათასი ლარით.

გადასახადების მოცულობა 2024 წელს შეადგენა 14 868 400 ათას ლარს. 2023 წლის გადასახადებს აღემატება 688 400 ათასი ლარით. 2024 წელში იგეგმებოდა ხელფასების 10%იანი ზრდა. დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა.

2024 წელს აუცილებლად ასაღები ვალდებულების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტი იყენებს შესაძლებლობას ბიუჯეტის დასაფინანსებლად გამოიყენოს 2024 წლის 1 იანვრისათვის მოსალოდნელი საკუთარი ნაშთით 1 494 800 ლარი.

2024 გრძელდება მერის ინიციატივით დანერგილი ,,სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა“, რომელის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება მოქალაქეთა ჩართულობით შექმნილი და მოწონებული პროექტები.

ნომინალურ გამოხატულებაში საგადასახადო შემოსავლები შეადგენს 11 258 600 ათას ლარს. 2023 წლის გეგმური მაჩვენებელტან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 902 00 ლარით. (1.7%) 2023 წელში გეგმა შეადგენდა 10 918 000 ლარს. დაზუსტებული ბიუჯეტით 11 068 400 ლარს.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზში გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

1.დამატებითი ღირებულების საპროგნოზო მაჩვენებლი განისაზღვრება 9 358 600 ათასი ლარით. დღგ გაზრდილია 8.6%-ით. 740 200 ათასი ლარით.

ქონების გადასახადი საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს

1 900 000 ათას ლარს. 2024 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი მცირდება 550 000 ათასი ლარით 22.4%. აღნიშნული გადასახადის უმეტესი წილი შემოდის ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებული ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის

საქართველოს ფილიალის მიერ გადახდილი ქონების გადასახადიდან. აღნიშნული გადასახადის ადმინისტრირება ხდება საქართველოს ფინანსთანა სამინისტროს მიერ.

სხვა შემოსავლების სახით 2024 წელს იგეგმება 1 236 700 ათასი ლარი.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 941 700 ლარი.

მიუხედავად გეგმის შემცირებისა, მაინც გამოწვევად რჩება 2024 წლის ჯარიმების გეგმის შესრულება, მარამ ეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის უპირველესი მოვალეობაა. ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლი და ანალიზი კომისიამ განიხილა სხომაზე როგორც პირველიკვარტლის, ასევე მეორე კვარტლის ესეიგი ნახევარი წლის ექვის თვის ბიუჯეტის შესრულების ყველა პარამეტრი. აღვნიშნავ ზოგიერთ პარამეტს 2024 წლის პირველ კვარტალში გადასახადები დაგეგმილ 2 439 600 ლარის ნაცვლად მიღებულია 2 152 900 ლარს 88.2%.

სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 437 500 ლარით, ფაქტობრივად კი მიღებულია 431 500 ლარი. სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია 98.6%. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სხვა შემოსავლები შემოსულია 206 400 ლარით მეტი.

2024 წლის პირველი კვარტლის ხარჯები დაგეგმილი 6 627 400 ათასი ლარიდან გაწეული ფაქტიბრივად 4 151 500 ლარის ხარჯები. გეგმა შესრულებულია 62.7%. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 399 800 ლარით მეტი ხარჯი.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2024 წლის პირველ კვარტალში დეგეგმილი 2 393 700 ლარიდან დაფინანსებულია 542 400 ლარი. გეგმის შესრულება გამოიწვია რთულმა მეტოლოგიურმა პირობებმა.

2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 13 მლნ. 677 700 ათასი ლარით. ფაქტობრივად მუნიციპალიტეტმა ექვს თვეში მიიღო 17 237 800 ლარი.

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 126%. ხოლო წლიური 76.1%-ით.

გასული წლის შესაბამის პერიოდის შემოსულობებს აღემატება 7 293 400 ლარი.

2024 წლის ექვსი თვის გადასახადები შეადგენდა 5 819 200 ლარს, ფაქტობრივად მობილიზებულია 9 961 800 ლარი. დღგ შესრულდა 95.8%

ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 480.5%, ხოლო წლიური 288.3%.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მიერ 2024 წლის ექვს თვეში დაგეგმილი 15 887 600 ლარის ხარჯებიდან დაფინანსებულია 13 138 800 ლარი დაგეგმილის 82.7%.

ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად ექვს თვეში დაგეგმილი 7 195 400 ლარიდან ათვისებულ იქნა 5 101 500 ლარი 70.9%. ოცდაშვილი პროექტიდან უკვე დასრულებულია ოცი პროექტი.

2023-2024 წლის საანგარიშო პერიოდში კომისიას არ დასჭირვებია და არ მოუწვევია ექსპერტიზები და სპეციალისტები.

2024 წელში კომისიამ ინფორმაციის სახით გააცნო წევრებს და საკრებულოს დეპუტატებს მერიის სარეზერვო ფონდის თანხის ხარჯების დინამიკადა დანიშნულება. სულ გამოყოფილია 120 000 ათასი ლარი, გახარჯულია დღეის მდგომარეობით 38 584 ლარი.

1. 2500 ლარი- სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამა.
2. 8000-ერთჯერადი ფინანსული დახმარება.

3. 20 387-სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა.
4. 500-ომში დაღუპულთა ოჯახის დახმარება.
5. 7206-გზების მიმდინარე შეკეთება.

სულ-38 854.8 ლარი.

საანგარიშო პერიოდში კომისია არ დაჭირვებია და არ მოუწევია ექსპერტები და სპეციალისტები.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ მერიის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა, გაანალიზა და შეაფასა, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით ყველა ბიუჯეტის განხილვის საკითხზე არსებული შენიშვნები და პასუხები, რაც თან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში უმრავლესობასთან ერთად კონსტრუქციულად მონაწილეობენ კომისიის ოპოზიციონერი წევრები მათი ჩართულობა კომისიის მიმდინარე მოვლენებში მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრებს, რა თქმა უნდა, გაგვაჩნია განსახვავებული პოზიციები, გვიწევს კამათი, მაგრამ არასოდეს გამხდარა კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილებების ხელშემშლელი გარემოება.

კომისიის წევრები ვესწრებოდით მუნიციპალიტეტის სოფელებში გამართულ შეხვედრებს, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა შესაბამისი დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლები.

კომისია სამუშაო გეგმის მიხედვით წლის ბოლომდე განახორციელებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას, რათა უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გახდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობა.

კომისია აქტიურად თანამშრომლობსსაკრებულოს ფრაქციებთან და საკრებულოს სხვა კომისიებთან. ჩავატარეთ რამდენიმე ერთობლივი სხდომები.

საკრებულოს აპარატი სათანადოდ აგვარებს კომისიის ორგანიზაციულ ტექნიკურ საკითხებს.

არასოდეს ჩაშლილა დაგეგმილი კომისიის სხდომა ქვორუმის არ არსებობის გამო.

საფინანო-საბიუჯეტო კომისია დროულად რეაგირებს საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.